

ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის
N26 ბინაზე, მოქალაქე ზურაბ ჯანელიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა მოქალაქე ზურაბ ჯანელიძის განცხადება /2011 წლის 21.11 Nჯ-9156/, რითაც ითხოვს ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N26 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N26 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ზურაბ ჯანელიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N26 ბინაზე /საერთო ფართობი 31,12 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 15,12 კვ.მ./ მოქალაქე ზურაბ ჯანელიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე